PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საგანმანათლებლო პროგრამების „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" და "გრაფიკული დიზაინის შესრულება" – მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები: თეა ბარამაშვილი

{თბილისი, 2020}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"	40	14	-
"გრაფიკული დიზაინის შესრულება"	40, მათ შორის პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 20	15	-

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 30 ივლისის №648539 ოქმი), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის N1017040 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინის შესრულება", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტისა და საგანმანათლებლო პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ. ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება.

*დისტანციური ვიზიტი განხორციელდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე წლის 4 ნოემბერს. შეხვედრა წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად **(იხილეთ დანართი 1- მონიტორინგის განრიგი).** კოლეჯის მხრიდან გასაუბრებას ესწრებოდა კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, იურისტი, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერებაც.*

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („გრაფიკული დიზაინის შესრულებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "გრაფიკული დიზაინის შესრულება", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*საფეხურის სწავლის შედეგები ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“**, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა **„მეტწილად შესაბამისი“**.*

*მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა **„სრულად შესაბამისად“** და ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე **„სრულად შესაბამისი“** ავტორიზაციის სტანდარტთან.*

*წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („ინდუსტრიული დიზაინის შესრულებას“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატება) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“**, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა **„მეტწილად შესაბამისი“**.*

*მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა **„სრულად შესაბამისად“** და ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე **„სრულად შესაბამისი“** ავტორიზაციის სტანდარტთან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ორივე პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" და "გრაფიკული დიზაინის შესრულება“ განმახორციელებელი პერსონალის მიერ შემუშავდა ილუსტრირებული სასწავლო რესურსი ქართულ ენაზე. სახელმძღვანელოებში თემატიკა დალაგებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც უფრო ეფექტურს გახდის პროფესიული სტუდენტებისთვის ამ რესურსის მოხმარებას. დაწესებულების მიერ მოხდა სასწავლო რესურსის აკინძვა და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსება, აღნიშნული სასწავლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტებმა გადაამოწმეს წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები:

„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"

შესაბამისობის რეკომენდაცია - კომპონენტი 2.2.1 (5)

სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს მოდულებში - ,,პროდუქციის ციფრული პროექტირება (Autodesk Fussion360)"; ,,CNC დანადგართან მუშაობა“; ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის“, მითითებული უცხოურენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე ადაპტირება, ხოლო მოდულებში ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“, ლინკებთან ერთად მიუთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა; ***სტატუსი-შესრულებული.***

შესაბამისობის რეკომენდაცია - კომპონენტი 2.2.1.

დაწესებულებამ ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში“ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ***სტატუსი-შესრულებული.***

„გრაფიკული დიზაინის შესრულება“

შესაბამისობის რეკომენდაცია - კომპონენტი 2.2.1 (5)

სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს მოდულებისათვის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“, ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“, ,,ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)“, ,,PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Aacrobat DC Pro) ლინკებთან ერთად ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება; ***სტატუსი-შესრულებული.***

განვითარების რეკომენდაცია - კომპონენტი 2.2.1.

დაწესებულებამ ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში“ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ***სტატუსი-შესრულებული.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი, იმისათვის რომ ეფექტურად მოხდეს თითოეული განამახორციელებელი პერსონალის კვირეული დატვირთვის დადგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"

პროგრამის სახელწოდება	„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N 66, 29 მაისი, 2020 წელი, ცვლილება ბრძანება N141 12.10.2020წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. #44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი) ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83 (ოთხმოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113 (ასცამეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება"

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების საკუთრებაში არსებული და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

წინა წარმოების დროს დარგის ექსპერტის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამაში ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი დაწესებულების ბაზაზე და მის მიერ შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

წინა წარმოების დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შპს ,,მაი მობაილ+“-სთან 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №33, რომელიც ითვალისწინებდა ,,შტატივიანი ხელოვნური განათება“ და ,,რეიშინა (სახაზავი 1მ. პლასტმასის ანხის რეიშინა 2 როლიკით)“-ს შეძენას, ხელშეკრულებაში მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 სექტემბერი. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწვალეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და მიიღეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ინფორმაცია, რომ შპს „მაი მობაილ+“-მა უზრუნველყო აღნიშნული მატერიალური რესურსის მიწოდება დაწესებულებისთვის. დაწესებულებაში მატერიალური რესურსის არსებობა ექსპერტებმა გადაამოწმეს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებითაც.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის თანდართულ დოკუმენტში მითითებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია პარტნიორ კომპანიებთან, რაც ასევე გადამოწმდა წინა წარმოების დროს და შეფასდა როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი.

პროგრამის ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ:

1. შპს დაზგა, მემორანდუმი - №448; 28.04.20; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება, ,,CNC დანადგართან მუშაობა“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; 2 **სტუდენტი;** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 4ა ს/კ 206201929;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. შპს ვესტა, მემორანდუმი - №449; 01.05.20; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება, ,,CNC დანადგართან მუშაობა“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება. **15 სტუდენტი;** თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;

3. შპს ,,საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე“, მემორანდუმი - №450; 01.05.20; მოდულები -,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგართან მუშაობა“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექვსკურსიის ორგანიზება; **4 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ყაზბეგის ჩიხი 32/34. ს/კ 200239964;

4. შპს ,,სეზანი“, მემორანდუმი - №455; 13.05.20; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგართან მუშაობა“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **15 სტუდენტი;** ქ. თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;

5. შპს ,,სტაგი პრინტი“, მემორანდუმი - №451; 01.05.2020; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგარებთან მუშაობა“; ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ - ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება, **20 სტუდენტი(10-10 სტუდენტი ორ ცვლაში).** ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 29, ს/კ 404982587;

6. შპს ,,FLEXMEDIA“, მემორანდუმი - №447; 28.04.2020; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგარებთან მუშაობა“, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **5 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1 შეს. 1/43, ს/კ 401978311;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, მემორანდუმი - №460; 29.05.2020წ. 3 წლის ვადით; მოდულები - ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგარებთან მუშაობა“; **5 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა #7, ს/კ 204582521.

ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკის ობიექტებზე ჯამურად შესაძლებელია **66 პროფესიული სტუდენტის** მიღება, პროგრამაზე ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის **40 პროფესიული სტუდენტი.**

2. საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ განხორციელებაში ჩართულია **22** პროფესიული განათლების მასწავლებელი**,** მათ შორის - 5 ზოგადი მოდულისთვის - **11,** 15 პროფესიული მოდულისთვის - **9** და 2 ქართული მოდულისთვის - **2** პირი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის ფარგლებში. პროგრამის განხორციელების მდგრადობის შემოწმების მიზნით ექსპერტებმა დამატებით მოითხოვეს განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ცხრილების და დატვირთვის დოკუმენტი, თუმცა რეკომენდირებულია მომზადდეს უფრო ეფექტური მექანიზმი/დატვირთვის ამსახველი ცხრილი, რომ მარტივად და გამჭვირვალედ იყოს შესაძლებელი თითოეული განმახორციელებელი პერსონალის კვირეული დატვირთვის დანახვა პროგრამის განხორციელების განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ზღვრული რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით, პროგრამის დანართით, რომელშიც ასახულია განმახორციელებელი პერსონალი და დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმეებით, ასევე კოლეჯის წარმომადგენლებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის მიერ დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ბრძანება (N107, 20.07.2020) რომელშიც გაწერილია დირექციის/ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისა და მათთან ინტერვიურების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათ აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და მათი კომპეტენცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს. დისტანციური წარმოების ფარგლებში მოხდა მათთან გასაუბრება და დადასტურდა, რომ მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს ასევე გავლილი აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებელი ტრენინგები.

4. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულებას“ ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება, რაც დასტურდება პირადი საქმით, მასში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით და მასთან გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ ბრძანებით განსაზღვრულია (N

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

69. 29.05.2020) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. დისტანციური წარმოების ფარგლებში მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, იგი იცნობს ბრძანებით განსაზღვრულ ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს.

5. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულებას“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება ხდება პერიოდულად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. ლიტერატურა მატერიალური და ელექტრონული სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში, არსებობს CD დისკები და ყველა მათგანი საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული/რეგისტრირებული.

წინა წარმოების დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოდულების: ,,პროდუქციის ციფრული პროტოტიპირება“, ,,CNC დანადგართან მუშაობა“, ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“ და ,,მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის“ ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ. ხოლო მოდულებისთვის ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ უზრუნველყოს ლინკებთან ერთად ქართულენოვანი ლიტერატურით, იმიტომ რომ აღნიშნულ მოდულებში ლიტერატურა ქართულ ენაზე არ იყო მითითებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები, სასწავლო რესურსი მითითებულია ქართულ ენაზე. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ქართულ ენაზე შემუშავებული ილუსტრირებული სასწავლო რესურსი/სალექციო სასწავლო კურსები რაც შეიძლება შეფასდეს როგორც დაწესებულების საუკეთესო გამოცდილება და ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ასევე შექმნილია მოდულების განმახორციელებელი პერსონალის მიერ. სახელმძღვანელოში თემატიკა დალაგებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც უფრო ეფექტურს გახდის პროფესიული სტუდენტებისთვის ამ რესურსის მოხმარებას. დაწესებულების მიერ მოხდა ამ სასწავლო რესურსის აკინძვა და მატერიალური სახით განთავსება დაწესებულების ბიბლიოთეკაში, აღნიშნული სასწავლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

6. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც საშუალებას აძლევს სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირებისთვის მოხდება საჭიროების შესაბამისად;

სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე (პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ხარისხის მართვის მენეჯერის და სსსმ პირის ჩართულობით) ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებში შესაძლებელია აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გეგმის შემუშავების წესი (N70, 29.25.2020), სადაც მოცემულია, თუ როგორ და ვისთვის მოხდება საჭიროების შემთხვევაში მოდულის მოდიფიცირება.

7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ დამატება და განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ დამატებით იყო მოთხოვნილი პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია მინიმუმ 5 პროფესიული სტუდენტით, შემოსავლების ნაწილში, ერთი სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 8320 ლარს, 1 თვის პროგრამული დაფინანსება შეადგენს 683 ლარს. ბიუჯეტი მოიცავს ხარჯების ნაწილსაც, მათ შორისაა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული, ადმინისტრირება, საქონელი და მომასახურება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ - დირექტორის ბრძანება დამტკიცების შესახებ N66, 29.05.2020 წ./ცვლილება N141, 12.10.2020;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილება, დირექტორის ბრძანება N25, 18.02.2020წ.
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ,,მაი მობაილ+“-თან 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №33; საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი N1 02.10.2020, ფოტო-მასალა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება- N69; 29.05.2020 წ.,
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება - N107; 20.07.2020
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი - დირექტორის ბრძანება N70; 29.05.2020 წ.;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
- პროგრამის ბიუჯეტი.
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან/ბიბლიოთეკართან/განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცხრილი ივსება პროგრამისთვის "გრაფიკული დიზაინის შესრულება"

პროგრამის სახელწოდება	"გრაფიკული დიზაინის შესრულება"
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N66, 29.05.2020 წელი, ცვლილება ბრძანებაN142, 10.10.2020 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. #44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი) ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20(ოცი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143 (ასორმოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173 (ასსამოცდაცამეტი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 (ოთხმოცდაათი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 (ასოცი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის "გრაფიკული დიზაინის შესრულება"

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის "გრაფიკული დიზაინის შესრულება"

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების საკუთრებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. სამაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
არსებული და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

წინა წარმოების დროს დარგის ექსპერტის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამაში ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი დაწესებულების ბაზაზე და მის მიერ შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

წინა წარმოების დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შპს ,,მაი მობაილ+"-სთან 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №33, რომელიც ითვალისწინებდა ,,შტატივიანი ხელოვნური განათება" და ,,რეიშინა (სახაზავი 1მ. პლასტმასის ანხის რეიშინა 2 როლიკით)"-ს შეძენას, ხელშეკრულებაში მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 სექტემბერი.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწვალეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და მიიღეს ინფორმაცია, რომ შპს „მაი მობაილ+"-მა უზრუნველყო აღნიშნული მატერიალური რესურსის მიწოდება დაწესებულებისთვის. დაწესებულებაში მატერიალური რესურსის არსებობა ექსპერტებმა გადაამოწმეს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებითაც.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც პროფესიული სტუდნტები გაივლიან პრაქტიკას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის თანდართულ დოკუმენტში მითითებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ხელმისაწვდომია პარტნიორ კომპანიებთან, რაც ასევე გადამოწმდა წინა წარმოების დროს და შეფასდა როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი.

პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ:

1. შპს დაზგა, მემორანდუმი - 448; 28.04.20; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“, მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **2 სტუდენტი;** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 4ა ს/კ 206201929;

2. შპს ვესტა, მემორანდუმი - 449; 01.05.20; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება. **15 სტუდენტი (7-8 სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში);** თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;

3. შპს ,,საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე“, მემორანდუმი - 450; 01.05.20; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“ გავლის ხელშეწყობასა და სწალის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდული ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექვსკურსიის ორგანიზება; **4 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ყაზბეგის ჩიხი 32/34. ს/კ 200239964;

4. შპს ,,სეზანი“, მემორანდუმი - 455; 13.05.20; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“, ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება, “CNC დანადგართან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მუშაობა; ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **15 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;

5. შპს ,,სტაგი პრინტი“, მემორანდუმი - 451; 01.05.2020; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“; გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ - ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება, **20 სტუდენტი,** ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 29, ს/კ 404982587;

6. შპს ,,FLEXMEDIA“, მემორანდუმი - 447; 28.04.2020; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **5 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1 შეს. 1/43, ს/კ 401978311;

7. სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, მემორანდუმი - 460; 29.05.2020წ. 3 წლის ვადით; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ გავლის ხელშეწყობა და სწავლის შედეგების მიღწევა, **20 სტუდენტი.** ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა #7, ს/კ 204582521.

8. შპს ,,ესპრეს სიტიპი“, მემორანდუმი - 459; 20.05.2020; მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“, ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, გავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; **20 სტუდენტი(10- 10 სტუდენტის მიღება ორ ცვლაში).** ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ს/კ 405060008.

ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკის ობიექტებზე ჯამურად შესაძლებელია **101 პროფესიული სტუდენტის** მიღება. პროგრამაზე ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის **40 პროფესიული სტუდენტი,** მათ შორის პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის **20 პროფესიული სტუდენტი.**

2. საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულებას“ განხორციელებისთვის სულ ჩართულია **36** პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის - **17** , ზოგადი მოდულების განხორციელებაში - **9,** საერთო პროფესიული და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულების განხორციელებაში **8** და ქართული ენის მოდულების განხორციელებაში **2** პირი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის ფარგლებში.

პროგრამის განხორციელების მდგრადობის შემოწმების მიზნით ექსპერტებმა დამატებით მოითხოვეს განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ცხრილების და დატვირთვის დოკუმენტი, თუმცა რეკომენდირებულია მომზადდეს უფრო ეფექტური მექანიზმი/დატვირთვის ამსახველი ცხრილი, რომ მარტივად და გამჭვირვალედ იყოს შესაძლებელი თითოეული განმახორციელებელი პერსონალის კვირეული დატვირთვის დანახვა პროგრამის განხორციელების განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ზღვრული რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. რაც დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით, პროგრამის დანართით, რომელშიც ასახულია განმახორციელებელი პერსონალი და დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმეებით, ასევე კოლეჯის წარმომადგენლებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის მიერ დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ბრძანება (N107, 20.07.2020) რომელშიც გაწერილია დირექციის/ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისა და მათთან ინტერვიურების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათ აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და მათი კომპეტენცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს. დისტანციურ წარმოების ფარგლებში მოხდა მათთან გასაუბრება და დადასტურდა, რომ მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ პირებს ასევე გავლილი აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისრტროს მიერ ორგანიზებელი ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულებას“ ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება, რაც დასტურდება პირადი საქმით, მასში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით და გასაუბრებით.

პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ ბრძანებით განსაზღვრულია (N 69. 29.05.2020) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება მოვალეობები. დისტანციური წარმოების ფარგლებში მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, იგი იცნობს ბრძანებით განსაზღვრულ ფუნქციებს და უფლება მოვალეობებს.

5. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულებას“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება ხდება პერიოდულად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. ლიტერატურა მატერიალური და ელექტრონული სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში, არსებობს CD დისკები და ყველა მათგანი საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული/რეგისტრირებული.

წინა წარმოების დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოდულებისთვის: ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“; ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულებს: ,,ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)“, ,,PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro) “ ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ. ხოლო მოდულებისთვის ,,დაზგა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დანადგარებთან მუშაობა“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ უზრუნველყოს ლინკებთან ერთად ქართულენოვანი ლიტერატურით, იმიტომ რომ აღნიშნულ მოდულებში ლიტერატურა ქართულ ენაზე არ იყო მითითებული. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები, სასწავლო რესურსი მითითებულია ქართულ ენაზე. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ქართულ ენაზე შემუშავებული ილუსტრირებული სასწავლო რესურსი/სალექციო სასწავლო კურსები რაც შეიძლება შეფასდეს როგორც დაწესებულების საუკეთესო გამოცდილება და ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ასევე შექმნილია მოდულების განმახორციელებელი პერსონალის მიერ. სახელმძღვანელოში თემატიკა დალაგებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც უფრო ეფექტურს გახდის პროფესიული სტუდენტებისთვის ამ რესურსის მოხმარებას. დაწესებულების მიერ მოხდა ამ სასწავლო რესურსის აკინძვა და მატერიალური სახით განთავსება დაწესებულების ბიბლიოთეკაში, აღნიშნული სასწავლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

6. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც საშუალებას აძლევს სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირებისთვის მოხდება საჭიროების შესაბამისად; სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე (პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ხარისხის მართვის მენეჯერის და სსსმ პირის ჩართულობით) ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ფარგლებში შესაძლებელია აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (N70, 29.25.2020), სადაც მოცემულია, თუ როგორ და ვისთვის მოხდება საჭიროების შემთხვევაში მოდულის მოდიფიცირება.

7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება და განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ დამატებით იყო მოთხოვნილი პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში (არაინტეგრირებული პროგრამა) რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია მინიმუმ 5 პროფსიული სტუდენტით, შემოსავლების ნაწილში, ერთი სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 8060,80 ლარს, 1 თვის პროგრამული დაფინანსება შეადგენს 683 ლარს. ბიუჯეტი მოიცავს ხარჯების ნაწილსაც, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული, ადმინისტრირება, საქონელი და მომასახურება.

ბიუჯეტში (ინტეგრირებული პროგრამა) რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია მინიმუმ 6 პროფსიული სტუდენტით, შემოსავლების ნაწილში, ერთი სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 8955 ლარს, 1 თვის პროგრამული დაფინანსება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. სამაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეადგენს 820 ლარს. ბიუჯეტი მოიცავს ხარჯების ნაწილსაც, მათ შორისაა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული, ადმინისტრირება, საქონელი და მომასახურება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ - დირექტორის ბრძანება დამტკიცების შესახებ N66, 29.05.2020წ./ცვლილება N142, 12.10.2020
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილება, დირექტორის ბრძანება N25, 18.02.2020წ.
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ,,მაი მობაილ+“-თან 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №33; საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი N1 02.10.2020, ფოტო-მასალა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება- N69; 29.05.2020 წ.,
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება - N107; 20.07.2020
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი - დირექტორის ბრძანება N70; 29.05.2020 წ.;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
- პროგრამის ბიუჯეტი.
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან/ბიბლიოთეკართან/განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. სსიპ -კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" საგანმანათლებლო პროგრამების - „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" და "გრაფიკული დიზაინის შესრულება" - მონიტორინგის განრიგი-2გვ. ცენტრში ჩაბარდა დასკვნის პროექტთან ერთად.

14.11.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: